კლეოპატრა

50 პერსონა - მათ შექმნეს ისტორია

2018-06-28



50 პერსონა - მათ შექმნეს ისტორია

ტომი 22

ჟურნალ "ისტორიანის" ბიბლიოთეკა

ავტორი თამარ-ბარბარე თომაძე

რედაქტორი ლადო იოსებაძე
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი რატი თორდია
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი
პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2017
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

*** * ***

ამ წიგნში ეგვიპტის უკანასკნელი ქალი მეფის, ქალღმერთ ისიდას უკანასკნელი მიწიერი განსხეულების, ორი დიდი რომაელის — იულიუს კეისრისა და მარკუს ანტონიუსის — საყვარელი ქალისა და მათი შვილების დედის, კლეოპატრა VII ფილოპატორის, ტრიუმფალური და ტრაგიკული ცხოვრების ამბავია მოთხრობილი.

პროლოგად ნათქვამი ეპილოგი

“დედოფლის გვამი წაასვენეთ და... თვით ანტონიოსს გვერდით დაუმარხეთ! მაგათთანა სახელოვანი წყვილი, არა სძევს არც ერთ კუბოს”.
შექსპირი, “ანტონიოს და კლეოპატრა”

“ღმერთებს ვუტოლდებოდი ყველაფერში, უკვდავების გარდა...”
ევრიპიდე

თავი მოიკლა! თავი მოიკლა, მეფეთა მეფემ, დედოფალთა დედოფალმა, ფარაონთა ფარაონმა! ყოვლისშემძლემ, მდიდარმა, ბედნიერმა! თავი მოიკლა, ღმერთქალმა!

თავი მოიკლა, კლეოპატრამ — პტოლემაიოსთა დინასტიის გვირგვინმა, ნილოსის მანათობელმა ვარსკვლავმა, რომზე გაბატონება-გადედოფლების მსურველმა. ეგვიპტური ჭრელი კობრის შხამი საკმარისი აღმოჩნდა ნანატრი სიკვდილისთვის!

მარტო არ გაუშვა იმ ქვეყნად — ქმარი, საყვარელი, თანამზრახველი და თანამოაზრე, გამარჯვებას მიჩვეული დამარცხებული რომაელი სარდალი — მარკუს ანტონიუსი — რომელმაც მის თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე გამოუტანა თავს განაჩენი, საკუთარი მახვილით...

უსწრაფესად გავრცელდა ხმა მათი სიკვდილის შესახებ.

ჯერ აღექსანდრეს თეთრ ქალაქს მოედო, მერე აგვისტოს გამომშრალმა ქარებმა მოჰფინეს ხმელთაშუა ზღვას და ისე ჩაიტანეს რომში. მერე და მერე, ისიდას ქათქათა ღოტოსებმა გააყოლეს ნილოსს და შეყარეს მთელი ეგვიპტე, მის ახლო მეზობლებიანად...

ახალი ცხოვრების დაწყების მაუწყებელი იყო ამ გავლენიანი წყვილის სიკვდილი და ერთნაირად ეხებოდა ყველას – ეგვიპტის უკანასკნელ ბოგანოსა და რომის პირველ კაცს, რადგან ზოგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს კარგავდა, ზოგი – პირიქით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს იძენდა მათი ამქვეყნიდან წასვლით...

ეგვიპტე სამუდამოდ ემშვიდობებოდა საუკუნეების მანძილზე სისხლითა და ოქროთი შენარჩუნებულ ნახევარ დამოუკიდებლობას; ეთხოვებოდა პტოლემაიოსების დინასტიის უკანასკნელ მემკვიდრეს...

რომი საბოლოოდ ასამარებდა რესპუბლიკას და, სენატისა და სამთა მმართველობის ნაცვლად, ერთმმართველ იმპერატორს იძენდა.

კლეოპატრას მემკვიდრეები კარგავდნენ ეგვიპტის ტახტსა და მის თანმხლებ ბრწყინვალებას, მათგან უფროსი კი, ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს, სამაგიეროდ, ოქტავიანეს შთამომავლებისთვის იწყებოდა ოქროს ხანა.

პოეტები, ჟამთააღმწერლები და მოქანდაკეები კარგავდნენ ძველს და იძენდნენ ახალ დამკვეთებს, ახალ ამოცანებს. იღებდნენ ახალ მითითებებს, სიებს, ვისზე რა დაეწერათ და როგორ – ვინ განედიდებინათ, ვინ გაენადგურებინათ, ვინ გამოექანდაკებინათ და ვინ ჩამოესვენებინათ კვარცხლბეკებიდან.

უუფლებო, არაფრისმქონე ეგვიპტელებისთვისაც იცვლებოდა ყოფა, კიდევ უფრო მძიმდებოდა და ძვირდებოდა ცხოვრება. თუ ადრე იმით იმშვიდებდნენ და იტყუებდნენ თავს, ეგვიპტის ტახტისთვის ვიწყვეტთ იღაჯს, ჩვენი დედოფალი, თაფლით თუ მათრახით, მაინც გაუმკლავდება რომაელებს და ამოვისუნთქავთო, კლეოპატრას სიკვდილის შემდეგ, სამი პირი ტყავის ნაცვლად, ცხრა პირის გაძრობა ემუქრებოდათ რომაელების ხელში.

ჯარისკაცებსაც ეცვლებოდათ სამიზნეები, დასაცავი მიწები და საზღვრები, ისე, როგორც რომაელ წარჩინებულებს გუნება-განწყობილება – მათ უკვე მშვიდად შეეძლოთ ძილი – ბრძოლა რომის იმპერატორის გვირგვინისთვის ვეღარასდროს დამთავრდებოდა ეგვიპტის ბერძენი დედოფლისა და მისი მოკავშირე რომაელის გამარჯვებით.

ერთი სიტყვით, კლეოპატრას სიკვდილით იწყებოდა ახალი ცხოვრება, რომელიც სულ არ ჰგავდა მისი დაბადების დროინდელს...

თავი I – ადამიანები, მიწა და ღმერთები...

“მე შევქმენი ოთხი ქარი, რათა ყველას შესძლებოდა სუნთქვა; ავადიდე ნილოსი, რათა პატარა კაცს შესძლებოდა იგივე, რაც შეეძლო დიდს; შევქმენი კაცთა მოდგმა ისე, რომ ყველა თანასწორი ყოფილიყო. არ მიბრძანებია ადამიანებისთვის ბოროტების ჩადენა, მაგრამ მათი გული კარები დახშული აღმოჩნდა ჩემი სიტყვებისთვის”.

ეგვიპტელების ღმერთის, რას ნათქვამი, 4000 წლის წინ

ცისფერი ნილოსის, შავი მიწისა და წითელი ზღვის, მოლაპარაკე პირამიდების, გაღმერთებული ადამიანებისა და გაადამიანებული ღმერთების, უკვდავი ფარაონების, მარადიული სფინქსების, წმინდა ფრინველებისა და ცხოველების, შეუვალი ქურუმების, ცბიერი საჭურისებისა და შეუმცდარი მოგვების, წიგნების, ციფრების, ოქროს,

სეღისა და პაპირუსის სამშობღო ეგვიპტე – უკვე ძვეღისძვეღი, ბებერი და დაღღიღი ქვეყანა იყო, როცა კღეოპატრა დაიბადა.

ეგვიპტეღებზე ძვეღი ხაღხი მხოღოდ ფრიგიეღებიაო, – წერს ჰეროდოტე, – მათ პირვეღებმა დააწესეს თორმეტი ღმერთის სახეღი, პირვეღად დაიწყეს მათი თაყვანისცემა, მათთვის ტაძრების აგება, ქანდაკებებისა და საკურთხევღების დადგმა, ქვებზე გამოსახუღებების ამოკვეთა, სახაღხო დღესასწაუღებისა და საზეიმო პროცესიების გამართვა. პირვეღად დაყვეს წეღიწადი ოცდაათდღიან 12 თვედო.

ბევრ რამეს წერს კიდევ ჰეროდოტე, ეგვიპტესა და ეგვიპტეღებზე, რომღებსაც ყვეღაფერი თავდაყირა, ბუნების კანონების საწინააღმდეგოდ ჰქონდათ.

თავიდათავი ამისა – ქვეყნის ხერხემაღი, ეგვიპტის მაცოცხღებეღი – ნიღოსი იყო, რომეღიც "აღმა" მიედინებოდა, სამხრეთიდან ჩრდიღოეთისკენ. "ზემო ეგვიპტე" ეწოდებოდა ქვეყნის ქვემო, სამხრეთ მხარეს, "ქვემო ეგვიპტე" – ზემო, ჩრდიღოეთ მხარეს ანუ ხმეღთაშუაზღვისპირეთს.

თუ ისევ ჰეროდოტეს და მის "ისტორიას" დავესესხებით, ნიღოსის აღმა სვღას მთეღი ქარავანი მიჰყვებოდა "თავდაყირობისა":

"სხვა ხაღხებთან – კაცები დადიან საქმეებზე, ქაღები კი დიასახღისობენ; ეგვიპტეღებთან – ქაღები დადიან მოედნებზე და ვაჭრობენ, კაცები კი, სახღში სხედან – რთავენ და ქსოვენ.

სხვა ხაღხებთან – კაცებს ტვირთი თავით დააქვთ, ქაღებს კი – ზურგით; ეგვიპტეში – პირუკუ: ქაღებს – თავით, მამაკაცებს კი – მხრებით.

ეგვიპტეში ქაღები გამართუღი შარდავენ, მამაკაცები – ჩაცუცქუღები.

სხვა ხაღხებთან – მოხუც მშობღებს ვაჟიშვიღები არჩენენ, ეგვიპტეღებთან – ქაღიშვიღები.

სხვა ქვეყნებში გარდაცვღიღის ნათესავები თმას იჭრიან, ეგვიპტეღები კი, რომღებიც საერთოდ თავგადაპარსუღები დადიან, თმას იზრდიან და წვერსაც უშვებენ.

როდესაც ოჯახში მამაკაცი კვდება, ამ სახღის ქაღები სახეს ტაღახით ითხუპნიან, მიცვაღებუღს შინ ტოვებენ და სარტყეღშემორტყმუღი, ძუძუებამოყრიღი მთეღ ქაღაქში დარბიან და მკერდში მჯიღებს იცემენ.

სხვა ქვეყნებში ხაღხი და პირუტყვი ცაღ-ცაღკე ცხოვრობს, ეგვიპტეღები კი ცხოვეღებთან ერთად ბინადრობენ.

სხვა ქვეყნებში ქაღები მამაკაცებზე მდიდრუღად იცვამენ. ეგვიპტეღ კაცებს კი ორი ჩასაცმეღი აქვთ, ქაღებს – თითო-თითო.

სხვა ხაღხები პურს ხორბღისა და ქერისგან აცხობენ, ეგვიპტეღები ასეთ საკვებს არად აგდებენ და ასღის პურს მიირთმევენ.

ეგვიპტეღები ცომს ფეხით ზეღენ, თიხას კი ხეღით.

ისინი სხვა ხაღხებზე ბევრად უფრო ღვთისმოსავები არიან. ქურუმები განსაკუთრებუღი პატივით სარგებღობენ, მათ ხაღხი ამარაგებს საკვებით –